ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №17

2019 წლის 30 ოქტომბერი

ქალაქი ახალციხე

,,ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხიდან ფულადი საჩუქრის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 მარტის N33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხიდან ფულადი საჩუქრის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 მარტის N33 დადგენილებაში (ვებგვერდი www.matsne.gov.ge, 2 8 /03/2018, სარეგისტრაციო კოდი: 190040000.35.138.016347) და დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, მუხლი 4. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის მიერ ინიცირებული სახელოვნებო კულტურულ პროგრამებში გამარჯვებული გუნდისა და ინდივიდების დასაჩუქრება

1. სასკოლო თეატრალურ ფესტივალში'' გამარჯვებული ახალციხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ინდივიდთა გუნდის ფულადი ჯილდო განისაზღვროს:

ა) I ადგილი – 500 ლარი;

ბ) II ადგილი – 300 ლარი;

გ) III ადგილი – 200 ლარი.

2. ესეების კონკურსში -,,ჩემი პროფესია'' გამარჯვებული, ახალციხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდის ფულადი ჯილდო განისაზღვროს:

ა) I ადგილი – 200 ლარი;

ბ) II ადგილი – 150 ლარი;

გ) III ადგილი – 100 ლარი.

3. ფოტოკონკურსში გამარჯვებული, ახალციხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდის ფულადი ჯილდო განისაზღვროს:

ა) I ადგილი – 300 ლარი;

ბ) II ადგილი – 200 ლარი;

გ) III ადგილი – 100 ლარი.

4. „იდეების კონკურსში" გამარჯვებული, ახალციხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების (სამი ახალგაზრდა) ფულადი ჯილდო განისაზღვროს:

ა) 1000 (ათასი) ლარი - თითოეული გამარჯვებულისათვის (სულ 3000 (სამიათასი)) ლარი.

5. წარმატებულმა ახალგაზრდამ, შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელმა ან კანონიერმა წარმომადგენელმა მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) ანგარიშის საბანკო რეკვიზიტები."

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულის თავმჯდომარე **გელა ნოზაძე**